

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4

პროგრამის ხელმძღვანელი: დავით ხაჩიძე

რუსთავი
2022 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 07119-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება სატრანსპორტო სფეროში, კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში, რომლებიც შესძლებენ ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკას და შეკეთებას.

5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

6. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების მიმართულებით საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტოსერვისის მექანიკოსად, ელექტრიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

7. სტრუქტურა და მოდულები

1. საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების კონცენტრაციის 14 მოდულს ჯამური 38 კრედიტის რაოდენობით.

პროფესიულმა სტუდენტმა მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების მიმართულებით სრულად უნდა დააგროვოს **82 კრედიტი**,

- მოდულის, „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე გასაუბრების/ტესტირების ჩაბარების გზით.
- აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება **97 კრედიტი**;

ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის		
მოდულის დასახელება		კრედიტი
1.	0410003 მეწარმეობა 1	2
2.	0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	0020103 რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5.	0110005 სამოქალაქო განათლება	3
6.	0230101 უცხოური ენა/ინგლისური ენა/	4
ჯამი:		17

საერთო პროფესიული მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
1.	0711923 ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
2.	0711925 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
3.	0711924 ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
4.	0711926 დამკვეთთან ურთიერთობა	2
5.	0711329 საზეინკლო საქმის საფუძვლები	4
6.	0711927 გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო ავტოტრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:		17

1. მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი

1	0711908 ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2	0711906 დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3	0711907 ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4	0711909 შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
		10
1.1. კონცენტრაცია - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - მოდულები		
1	0711313 ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი	3
2	0711301 ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი	3
3	0711303 ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი	3
4	0711304 გათბობა-კონდიციონერების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	3
5	0711305 დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
6	0711306 დამუხტვა-გაშვების სისტემის სერვისი	2
7	0711921 ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა	4
8	0710321 სარჩილავი სადგურის გამოყენება	1
9	0711308 საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი	2
10	0711309 ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი	4
11	0711310 ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი	2
12	0711311 უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი	3
13	0711912 ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი	4
14	0711307 მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი	2
	ჯამი:	38
	კრედიტების რ-ზე ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:	82 კრედიტი
15	ქართული ენა A2	15
	კრედიტების რ-ზე არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:	97 კრედიტი

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები
3. დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები
4. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
5. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
6. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
2. წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით
4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“:

1. წაიკითხოს ელექტრონული ნახაზები
2. გამოიყენოს სარჩილავი სადგური
3. განახორციელოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი
4. განახორციელოს ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემების სერვისი
5. განახორციელოს ძრავას შეზღვევა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი
6. განახორციელოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საბაზო კვალიფიკაციის მისაღებად და სრულად მოიცავს სავალდებულო ზოგად, საერთო პროფესიულ და არჩევითი კონცენტრაციის მოდულებს „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების მიმართულებით“.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;

- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა სრულად უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო მოდულები, საერთო დარგობრივი მოდულები და მის მიერ არჩეული სპეციალიზაციის ავტომობილის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ კონცენტრაციის მოდულები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% - ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი), 2019 წლის 18 ივნისის N 493/ი
2. 2021 წლის 07 ივნისის №532031 „სამოქალაქო განათლების ზოგადი მოდულის დამტკიცების შესახებ“ (ცვლილება 2021 წლის 29 ოქტომბრის N1159696 ბრძანება.

14. დანართები:

- დანართი №1 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- დანართი №2 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა
- დანართი №3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი №4 - 0110001, „ქართული ენა A 2“
- დანართი №5 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;
- დანართი №6 - 0610003, ინფორმაციული წიგნიერება 1;
- დანართი №7 - 0230101, უცხოური ენა (ინგლისური ენა);
- დანართი №8 - 0410003, მეწარმეობა 1;
- დანართი №9 - 0020103, რაოდენობრივი წიგნიერება;
- დანართი №10 - 0030104, ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- დანართი №11 - 0110005, სამოქალაქო განათლება;
- დანართი №12 - 0711927 გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისები
- დანართი №13- 0711923 ვტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია
- დანართი №14 – 0711329 საზეინკლო საქმის საფუძვლები
- დანართი №15 - 0711925 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
- დანართი №16 – 0711926 დამკვეთთან ურთიერთობა;
- დანართი №17 – 0711924 ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები;
- დანართი №18 – 0711906 დაკიდების სისტემის საჭიით მართვის და სამუხრუჭე სისტემების კლასიფიკაცია
- დანართი №19 – 0711907 ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები
- დანართი №20– 0711908 ტრანსმისიის კლასიფიკაცია
- დანართი №21 – 0711909 შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია
- დანართი №22 – 0711313 ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ელექტრონული მართვის სერვისი

- დანართი№23 - 0711301 ავტომატური და ვარიატორული გადაცემათა კოლოფების ელექტრონული სისტემების სერვისი
- დანართი№24 - 0711303 ბენზინსა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი
- დანართი№25 - 0711304 გათბობა-კონდიციონერების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი
- დანართი№26 - 0711305 დაკიდების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი
- დანართი№27 - 0711306 დამუხტვა-გაშვების სისტემის სერვისი
- დანართი№28 - 0711921 ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა
- დანართი№29 - 0710321 სარჩილავი სადგურის გამოყენება
- დანართი№30 - 0711308 საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი
- დანართი№31 - 0711309 ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სერვისი
- დანართი№32 - 0711310 ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემის სერვისი
- დანართი№33 - 0711311 უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი
- დანართი№34 - 0711912 ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი
- დანართი№35 - 0711307 მექანიკურ გადაცემათა კოლოფების, გადაბმულობის და გამანაწილებელი კოლოფების ელექტრონული მართვის სისტემის სერვისი